

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

S.R.T

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

წლისათვის

ქ. ზუგდიდი

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		2019	2018
ამონაგები	3	12555690	5131337
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება		(11292079)	(4802182)
საერთო მოგება		1263611	329155
სხვა შემოსავალი	4	83984	187451
კომერციული დანახარჯები		(308163)	(149202)
ადმინისტრაციული ხარჯები		(281307)	(249069)
სხვა ხარჯები	5	(49224)	(52788)
ფინანსური დანახარჯები		(237655)	(204864)
მოგება დაბეგვრამდე		471246	(139317)
მოგების გადასახადის ხარჯი			
მიმდინარე წლის მოგება		471246	(139317)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		577569	716885
დივიდენდის გაცემა			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1048815	577569

დირექტორი

**სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

		2019	2018
ამონაგები	3	12555690	5131337
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(11292079)	(4802182)
საერთო მოგება		1263611	329155
სხვა შემოსავალი	4	83984	187451
კომერციული დანახარჯები		(308163)	(149202)
ადმინისტრაციული ხარჯები		(281307)	(249069)
სხვა ხარჯები	5	(49224)	(52788)
ფინანსური დანახარჯები		(237655)	(204864)
მოგება დაბეგვრამდე		471246	(139317)
მოგების გადასახადის ხარჯი			
მიმდინარე წლის მოგება		471246	(139317)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		577569	716885
დივიდენდის გაცემა			
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		1048815	577569

დირექტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	31.12.2019წ	31.12.2018წ	01.01.2018წ
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2462522	2582505	1742946
გრძელვადიანი ინვესტიციები	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
არამატერიალური აქტივები	51415	59858	56843
გაცემული სესხები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივი	492	492	492
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	2514430	2642855	1800282
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6 2767927	2737152	2527107
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1470243	78457	130737
სასესხო მოთხოვნები	0	0	0
მოკლევადიანი ინვესტიციები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	25282	15274	147250
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	3562	379773	1766
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
სულ მიმდინარე აქტივები	4267014	3210655	2806860
სულ აქტივები:	6781444	5853510	4607142
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	40000	300000	330000
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	1048815	577569	716885
სულ საკუთარი კაპიტალი	1088815	877568	1046885
გრძელვადიანი ვალდებულებები		0	
სასესხო ვალდებულებები	0	0	0
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	0	0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0

**სულ გრძელვადიანი
ვალდებულებები**

0

0

0

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

378259

41576

20987

მიმდინარე სასესხო

5313879

4934365

3539270

ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები

0

0

0

ვალდებულებები პერსონალის

წინაშე

0

0

0

სხვა მოკლევადიანი

ვალდებულებები

491

0

0

სულ მოკლევადიანი

ვალდებულებები

5692629

4975942

3560257

სულ საკუთარი კაპიტალი და

ვალდებულებები

6781444

5853510

4607142

დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	31.12.2019წ	31.12.2018წ	01.01.2018წ
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	246252	258250	174294
	2	5	6
გრძელვადიანი ინვესტიციები	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
არამატერიალური აქტივები	51415	59858	56843
გაცემული სესხები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივი	492	492	492
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	<u>2514430</u>	<u>2642855</u>	<u>1800282</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6 2767927	273715	252710
		2	7
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	147024	78457	130737
	3		
სასესხო მოთხოვნები	0	0	0
მოკლევადიანი ინვესტიციები	0	0	0
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	25282	15274	147250
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	3562	379773	1766
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
სულ მიმდინარე აქტივები	<u>426701</u>	<u>321065</u>	<u>280686</u>
	4	5	0
სულ აქტივები:	<u>678144</u>	<u>585351</u>	<u>460714</u>
	4	0	2
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	40000	300000	330000
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	104881	577569	716885
	5		
სულ საკუთარი კაპიტალი	<u>108881</u>	<u>877568</u>	<u>104688</u>
	5		5
გრძელვადიანი		0	

ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებები
ვალდებულებები ფინანსურ
იჯარაზე

სხვა გრძელვადიანი

ვალდებულებები

სულ გრძელვადიანი

ვალდებულებები

0

0

0

0

0

0

0

0

0

0

0

0

მოკლევადიანი

ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა

ვალდებულებები

მიმდინარე სასესხო

ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები

ვალდებულებები პერსონალის

წინაშე

სხვა მოკლევადიანი

ვალდებულებები

სულ მოკლევადიანი

ვალდებულებები

378259

41576

20987

531387

493436

353927

9

5

0

0

0

0

0

0

0

491

0

0

569262

497594

356025

9

2

7

სულ საკუთარი კაპიტალი და

ვალდებულებები

678144

585351

460714

4

0

2

დირექტორი



1. ზოგადი ინფორმაცია

ჯგუფის შემადგენლობაში შედის შპს S.R.T და მისიშვილობილი შპს გერმუნდ ჰულგი ჯორჯია. ორივე მატანის მისამართია ქ. ზუგდიდი, დავით აღმაშენებლის ქ. #89. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა თხილის გადამუშავება, ექსპორტი და გრძელვადიანი აქტივის იჯარით გაცემა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური ანგარიშგების პაკეტი, რომელიც საწარმომ მოამზადა როგორც დამატება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებაზე, რომელსაც იგი მოამზადებს წარადგენს მოცემულ პაკეტთან ერთად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანებით ქართულ ენაზე სამოქმედოდ შემოღებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ მიღებული და გამოცემული (2015 წელი) მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარი.

ჯგუფის კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია ჯგუფისთვის.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჯგუფის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მყიდველისაგან ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი. იგი ეფუძნება მიმდინარე წლის განმავლობაში წმინდა მოგების განაწილებას დივიდენდის სახით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები	5-10პროცენტი
ოფისის აღჭურვილობა	20-40 პროცენტი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20-30 პროცენტი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება მარაგის გაუფასურება, რისთვისაც მარაგის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება.

გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგი

მარაგის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო

მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ამონაგები

	დასახელება	2019 წელი	2018 წელი
1	საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები;	12454081	5094798
2	შენობის იჯარიდან მიღებული ამონაგები;	82576	32000
3	სხვა მარაგის რეალიზაცია (პალეტი, მაგნიტი)	19032	4539
	სულ ამონაგები	12555690	5131337

4. სხვა შემოსავლები

	დასახელება	2019 წელი	2018 წელი
1	თანადაფინანსება	83984	98882
2	კურსთაშორის სხვაობა	0	88569
	ჯამი:	83984	187451

5. სხვა ხარჯები

	დასახელება	2019 წელი	2018 წელი
1	კონვერტაცია		
3	კურსთაშორის სხვაობა	(49223.81)	(52,788)
	ჯამი:	(49,224)	(52,788)

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	დასახელება	31.12.2019 წ	31.12.2018 წ	01.01.2018 წ
1	ნედლეული და მასალები	1465463	1164294	1950674
2	მზა პროდუქცია	1297874	1569947	576433
3	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	4590	2911	0
	ჯამი	2767927	2737152	2527107

7 უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის გასამრჯელო

ქვემოთ მოტანილია ინფორმაცია ჯგუფის დამფუძნებელი-დირექტორის გასამრჯელოების შესახებ

		209 წელი	2018 წელი
	ხელფასი	19375	15000

8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2020 წლის 6 ნოემბერს.